

27.07.16

## **საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით, 6.75 პროცენტამდე ამცირებს**

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2016 წლის 27 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით 6.75%-მდე შემცირების შესახებ.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეფუძნება მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვით ინფლაციის მიზნობრივ დონეზე დასაახლოებლად საჭიროა გაგრძელდეს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის პროცესი. პროგნოზის შესაბამისად, თუკი ეკონომიკაზე მოქმედი სხვა ფაქტორები არ გამოიკვეთა, მოსალოდნელია რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალო-ვადიან პერიოდში 6 პროცენტამდე შემცირდეს.

ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მოსალოდნელზე მეტად შემცირდა და 1.1% შეადგინა. აღნიშნული დიდწილად, ინფლაციური მოლოდინების შემცირებითა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის და სურსათის შემცირებული ფასების მოსალოდნელზე მეტად გადმოცემით არის განპირობებული. ინფლაციის მაჩვენებლის კლებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ასევე, საბაზო ეფექტის ამოწურვას. ფასებზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა. მიმდინარე პროგნოზით ინფლაცია მომდევნო კვარტლებში დაბალ დონეზე შენარჩუნდება და მიზნობრივ მაჩვენებელს 2017 წლის ბოლოს დაუახლოვდება.

საგარეო მოთხოვნა კვლავ სუსტია, შედეგად, წლის პირველ ნახევარში ექსპორტის კლებამ წლიურად 12% შეადგინა. შიდა და საგარეო ინვესტიციების გააქტიურების შედეგად გაიზარდა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, თუმცა საგარეო ფაქტორების გამო იგი კვლავ პოტენციური დონის ქვემოთ რჩება.

რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობის ფონზე გაზრდილია პროგნოზის რისკები. ეროვნული ბანკი ასევე ყურადღებით აკვირდება მონეტარული პოლიტიკის გავლენას ფინანსურ ბაზრებზე. ყველა აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის შემდგომი ტემპი დამოკიდებული იქნება ეკონომიკაში მიმდინარე პროცესზე, საგარეო სექტორიდან მომდინარე რისკების შესაძლო რეალიზაციასა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან საქართველოს ეკონომიკაზე შოკების გადმოცემის სიდიდეზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 7 სექტემბერს გაიმართება.